



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

Master's program

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

თბილისი

2023

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (Master of Business Administration)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	120 კრედიტი მათ შორის: პროგრამის სავალდებულო კრედიტები - 70 კრედიტი (სავალდებულო სასწავლო კურსები - 35, კვლევითი პროექტი - 5, პროფესიული პრაქტიკა - 10, სამაგისტრო ნაშრომი¹ - 20); პროგრამის არჩევითი კრედიტები - 50 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია 10 კონცენტრაციის სახით. კონცენტრაციის სავალდებულო კურსები - სულ 35 კრედიტი (კონცენტრაციისთვის „აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“ - 45 კრედიტი, კონცენტრაციისთვის „გლობალურ გარემოში მენეჯმენტი“- 40 კრედიტი), კონცენტრაციის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (კონცენტრაციისთვის „აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“- 5 კრედიტი, კონცენტრაციისთვის „გლობალურ გარემოში მენეჯმენტი“- 10 კრედიტი).
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფესორი გ. ღაღანიძე პროფესორი ნ. თოდუა პროფესორი ი. კოვზანაძე პროფესორი დ. ნარმანია პროფესორი ლ. საბაური პროფესორი დ. სიჭინავა პროფესორი თ. შენგელია ასოც. პროფესორი ნ. კაციტაძე ასოც. პროფესორი ნ. პაიჭაძე ასოც. პროფესორი ნ. ხარაძე ასოც. პროფესორი ე. ჩოხელი
პროგრამაზე დაშვების	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო

¹ სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი თემატიკა იხ. დანართში 3

წინაპირობა	პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; • პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში „ბიზნესის ადმინისტრირება“². ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დადადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კონცენტრაცია უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების შესაბამის სფეროში ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას და/ან გაფართოებას. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ზოგად საკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას; თავისუფალი სამყაროს ღირსეულ წევრობას.
სწავლის შედეგები ²	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული: ცოდნა და გაცნობიერება • სიღრმისეულად აღწერს ბიზნესის მართვის თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს, მიდგომებსა და მოდელებს; • არჩევს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს და ტენდენციებს;

² კონცენტრაციის შედეგები იხ. დანართში 1

	• კრიტიკულად მიმოიხილავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ბიზნესის მართვას, სტრატეგიების შემუშავებას და ლიდერობას; • ბიზნესის ადმინისტრირებაში მიღებულ თეორიულ ცოდნას აკავშირებს ბიზნესის მართვაში თანამედროვე მიღწევებზე დამყარებული ორიგინალური იდეების გენერირებას. უნარი • იყენებს ბიზნესის მართვის თანამედროვე კონცეფციებს ბიზნესგარემოში არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისათვის; • კვლევის აპრობირებული და უახლესი მეთოდების გამოყენებით ანალიზებს ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენებს; • დამოუკიდებლად ამზადებს კვლევით ნაშრომს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტანდარტების გამოყენებით; • ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე დამოუკიდებლად აფასებს კონკრეტულ ბიზნესის სიტუაციებს შესაბამისი პროექტების შემუშავებისათვის; • ახდენს საკუთარი კვლევის შედეგების, მოსაზრებების, არგუმენტებისა და დასკვნების შესახებ აკადემიური და პროფესიული საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა • მიღებულ თეორიული და პრაქტიკული ცოდნას იყენებს ახალი მიდგომების, სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ნორმების დაცვით ბიზნესის ცვალებად გარემოში ადაპტირებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის; • უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს, საკუთარი შესაძლებლობების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე.
სწავლა-სწავლების მეთოდები	პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: • ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი • წერიითი მუშაობის მეთოდი • ჯგუფური მუშაობა

	• დისკუსია/დებატები • ახსნა–განმარტებითი მეთოდი • თანამშრომლობითი სწავლება • პროექტი/რეფერატი • პრეზენტაცია • დემონსტრირების მეთოდი • გონებრივი იერიში • შემთხვევის ანალიზი • საექსპერტო შეფასებისა და სხვ. მეთოდი თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის გავლით.
შეფასების სისტემა	სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება. შეფასების სისტემა ითვალისწინებს: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების

	შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობაა შუალედურ შეფასებაში მინიმუმ 11–21 ქულის მიღება სასწავლო კურსის შესაბამისად, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო გამოცდის მაქსიმალური ქულის 50%. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: - ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა; - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; - ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა; - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; - ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა; - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - (FX) (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (F) (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფეროები	საწარმოები (ფირმები), ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები, არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსეროვნული კორპორაციები და მათ ფილიალები, სახელმწიფო ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებს წარმატებით იმუშაონ საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერებად, ექსპერტებად და ანალიტიკოსებად.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლა გააგრძელონ სადოქტორო პროგრამაზე ბიზნესის ადმინისტრირებისა ან მასთან დაკავშირებული დისციპლინის მიმართულებით.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სწავლების საფასური შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სტუდენტთა განკარგულებაშია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (თსუ, X - მაღლივი კორპუსი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს-ცენტრები, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტით.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	

პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: ეკონომიკა და ბიზნესი

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება

სწავლების საფეხური: *მაგისტრატურა*

კრედიტების რაოდენობა: *120ECTS*

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი გ. ღაღანიძე, პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოფხანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი თემურ შენგელია, პროფესორი ლევან საბაური, პროფესორი დემურ სიჭინავა, ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე, ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე, ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი.

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: *თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29*

ივნისის დადგენილება №57. დანართი №81 <https://www.tsu.ge/ka/legalakad/40134>

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): *2011-2012*

№№	სასწავლო კურსის სახელწოდება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო / არჩევითი	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ავტორი / ავტორები	
				საკონტაქტო		დამოუკიდებელი	სულ		1	2	3	4		
				ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული									
პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები - სულ 35 კრედიტი														
1	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5				ე. ჩოხელი	
2	მარკეტინგის მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5				ნ. თოდუა	
3	ფინანსური მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5				ხ. ბარბაქაძე	
4	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5				მ. მაღრაძე	
5	მმართველობითი აღრიცხვა II	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5				ი. ჭილაძე	
6	გლობალური ბიზნესი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5				თ. შენგელია	
7	აკადემიური წერა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ე. ლეკაშვილი; გ. შაბაშვილი	
	სულ:		35											

არჩევითი კონცენტრაციები (სტუდენტი 10 კონცენტრაციიდან ირჩევს ერთს)

კონცენტრაციები:

1. მენეჯმენტი
2. საჯარო მმართველობა (კონცენტრაცია ამოქმედდება 2024-2025 სასწავლო წლიდან)
3. გლობალურ გარემოში მენეჯმენტი
4. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
5. ფინანსები და საბანკო საქმე
6. აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი
7. მარკეტინგი
8. საერთაშორისო ბიზნესი
9. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი
10. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი

კონცენტრაცია: მენეჯმენტი										25	25		
1	სტრატეგიული მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			ე. ჩოხელი
2	კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ნ. თოდუა
3	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			ე. გულუა
4	რისკ-მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			დ. ნარმანია
5	ლიდერული უნარ-ჩვევები	არჩევითი	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			ე. გულუა
6	ორგანიზაციული კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები					გ. ქეშელაშვილი
7	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები			5		გ. ქეშელაშვილი

8	ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები			5		ე. ჩოხელი; დ. ნიჟარაძე
9	ბიზნესის სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირება	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები			5		დ. ნარმანია
10	საინვესტიციო პროექტების მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			10		გ. წიკალური
11	მონაცემთა ანალიზი და მოდელირება მენეჯმენტში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ნ. მიქიაშვილი; რ. სეთურიძე
12	დროის მენეჯმენტი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					მ. ხარხელი
კონცენტრაცია: საჯარო მმართველობა (კონცენტრაცია ამოქმედდება 2024-2025 სასწავლო წლიდან)										25	25		
1	სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			დ. ნარმანია; ე. ჩოხელი
2	კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ნ. თოდუა
3	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			ე. გულუა
4	პროგრამები და პროექტების მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			გ. ქეშელაშვილი
5	ლიდერული უნარ-ჩვევები	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ე. გულუა
6	დროის მენეჯმენტი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					მ. ხარხელი
7	საჯარო ორგანიზაციების მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		მ. ხარხელი
8	ადმინისტრაციული სამართალი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		ი. წიკალური
9	ელექტრონული მმართველობა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		რ. სეთურიძე; შ. დავითაია; მ. მაჩიტაძე

10	სტრატეგიული მენეჯმენტი	არჩევითი	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები			10		ე. ჩოხელი
11	ორგანიზაციული კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					გ. ქველამშვილი
12	საინვესტიციო პროექტების მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					გ. წიკლაური
კონცენტრაცია: გლობალურ გარემოში მენეჯმენტი										25	25		
1	მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			გ. ლაღანიძე; გ. გრიგოლაშვილი
2	კონკურენტული სტრატეგიები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			ბ. რამიშვილი
3	პროექტების მართვა გლობალურ გარემოში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ბ. რამიშვილი
4	ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო საქმიანობის მართვაში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			10		რ. სეთურიძე
5	საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები	არჩევითი	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი					თ. კბილაძე
6	საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ს. გელაშვილი; ნ. ასლამაზიშვილი
7	საერთაშორისო ფინანსები	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ლ. ზახტაძე; ე. ჯგერენაია
8	ლიდერობა და ემოციური ინტელექტი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ნ. ხარაძე; დ. ფირცხალაიშვილი
9	საერთაშორისო ბიზნესის დიპლომატია	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ლ. ხიზაძე
10	კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ნ. თოდუა
11	ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			ნ. პაიჭაძე; მ. ტულუში; ნ. ხარაძე

12	საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		გ. ლაღანიძე
13	სტრატეგიული მენეჯმენტი ციფრულ ეკონომიკაში	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები			5		გ. ლაღანიძე; ბ. რამიშვილი
14	კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		ნ. ფარესაშვილი
კონცენტრაცია: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი											25	25	
1	ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			ნ. პაიჭაძე; მ. ტულუში; ნ. ხარაძე
2	კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ნ. თოდუა
3	მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			გ. ლაღანიძე; გ. გრიგოლაშვილი
4	ლიდერობა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ნ. ხარაძე
5	ბიზნეს პროცესების მენეჯმენტი	არჩევითი	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		5			ბ. რამიშვილი
6	კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ნ. ფარესაშვილი
7	შრომისა და დასაქმების სამართალი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ე. ქარდავა
8	შრომის ბაზრის რეგულირება გლობალიზაციის პირობებში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			10		მ. ტულუში; მ. ცარციძე
9	შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					თ. ტურაშვილი
10	მონაცემთა კვლევა და ანალიზი SPSS-ის საშუალებით	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					მ. ტიკიშვილი
11	ლიდერობა და ემოციური ინტელექტი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ნ. ხარაძე; დ. ფიცხალაიშვილი

12	ტალანტების მართვა ორგანიზაციაში	სავალდებულო	5	15	30	80	125	ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა			5		ნ. ხარაძე; დ. ფორცხალიაშვილი
13	ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		გ. ღვინიაძე; თ. ლამაშიძე
14	ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები			5		ნ. ფარესაშვილი
კონვენტრაცია: ფინანსები და საბანკო საქმე											25	25	
1	ფინანსური სისტემა და რეგულირება	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი		5			ხ. ბარბაქაძე; ნ. კაკაშვილი
2	საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი		5			თ. კბილაძე
3	კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ნ. თოდუა
4	საგადასახადო დაგეგმვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი		5			მ. ჩიკვილაძე; თ. გამსახურდია; თ. კბილაძე
5	საბანკო სისტემის რეგულირება	არჩევითი	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი		5			ლ. ლუდუშაური
6	ინვესტიციები და ინვესტიციური პროექტები	არჩევითი	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი					გ. წიკლაური
7	ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები	არჩევითი	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი			10		თ. გამსახურდია
8	საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი	არჩევითი	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი					ლ. ლუდუშაური
9	ფინანსური რისკების მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი					ა. ცერცვაძე
10	სადაზღვევო სისტემა და რეგულირება	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი			5		ნ. კაკაშვილი
11	ვენჩერული კაპიტალი და ინოვაციების დაფინანსება	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი			5		ავ. ჩუთლაშვილი

12	კორპორაციული მართვა საბანკო სისტემაში	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური მენეჯმენტი			5		ი. კოვზანაძე
კონცენტრაცია: აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი										25	25		
1	ფინანსური აღრიცხვა II	სავალდებულო	10	30	60	160	250	წინაპირობის გარეშე		10			ნ. კვატაშიძე
2	ფინანსური ანალიზი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ი. ჭილაძე
3	გადასახადების აღრიცხვა და ანგარიშგებლობა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			მ. ვარდიაშვილი
4	კვლევის მეთოდები ბიზნესში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			დ. სიხარულიძე
5	კორპორაციული ანგარიშგება	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური აღრიცხვა II			5		ნ. კვატაშიძე
6	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს)	სავალდებულო	10	30	60	160	250	ფინანსური აღრიცხვა II			10		ლ. საბაური
7	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		ნ. კვატაშიძე
8	ეკონომიკური ანალიზი ვაჭრობაში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		მ. ჯიქია
9	ბიზნესის სამართლებრივ- ეკონომიკური რეგულირება	არჩევითი	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები					დ. წარმანია
კონცენტრაცია: მარკეტინგი										25	25		
1	გლობალური მარკეტინგი	სავალდებულო	10	30	60	160	250	მარკეტინგის მენეჯმენტი		10			ნ. თოდუა
2	ბრენდინგი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი		5			მ. ვეშაგური
	ლოგისტიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი		5			ნ. ოქრუაშვილი

3	სოციალური მარკეტინგი	არჩევითი	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი		5			ჩ. ჯაში
4	სურსათის მარკეტინგი	არჩევითი	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი					ნ. თოდუა; ც. მიქაბაძე
5	მომსახურების მარკეტინგი	არჩევითი	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი					მ. ალანია
6	ციფრული მარკეტინგი	არჩევითი	5	15	30	80	125	მარკეტინგი მენეჯმენტი					ნ. თოდუა
8	მომხმარებელთა ქცევა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი			5		ნ. თოდუა; მ. ვეშაგური
9	მარკეტინგული კვლევები	სავალდებულო	10	30	60	160	250	მარკეტინგის მენეჯმენტი			10		ნ. თოდუა
10	ბიზნეს მარკეტინგი	არჩევითი	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი		10			ჩ. ჯაში
11	საზოგადოებასთან ურთიერთობები	არჩევითი	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი					მ. კობალავა
12	მარკეტინგი მოგზაურობასა და ტურიზმში	არჩევითი	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი					ნ. თოდუა
კონცენტრაცია: საერთაშორისო ბიზნესი										25	25		
1	კვლევის მეთოდები ბიზნესში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			დ. სიხარულიძე
2	საერთაშორისო ლოგისტიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			შ. შაბურიშვილი
3	საერთაშორისო ბიზნესის დიპლომატია	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ლ. ხიხაძე
4	საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ს. გელაშვილი; ნ. ასლამაზიშვილი
5	ეკონომიკური დოქტრინები	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ავ. სილაგაძე
6	საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			თ. შენგელია; ლ. ხიხაძე

7	საერთაშორისო ვაჭრობა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ლ. ხიხაძე
8	საერთაშორისო ბიზნესის ფინანსები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		თ. შენგელია; ლ. ხიხაძე
9	საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		ხ. ბერიშვილი
10	საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგია	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		დ. სიხარულიძე
11	საერთაშორისო ორგანიზაციები	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			10		ლ. ხიხაძე
12	ინოვაციური ბიზნესი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					თ. შენგელია; ქ. ჯღანჯღავა
13	ელექტრონული ბიზნესი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ხ. ბერიშვილი
14	კორპორაციული ანგარიშგება	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ნ. კვატაშიძე
15	ბიზნესის სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირება	არჩევითი	5	15	30	80	125	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები					დ. ნარმანია
კონცენტრაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი										25	25		
1	მასპინძლობის მენეჯმენტი	სავალდებულო	10	30	60	160	250	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები		10			ნ. კაციტაძე
2	ტურიზმი და რეგიონული განვითარება	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ვ. არღუთაშვილი
3	ტურიზმის მდგრადი განვითარება	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ი. ხელაშვილი; ე. ბალიაშვილი
4	ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ნ. კაციტაძე
5	კვლევის მეთოდები ტურიზმში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			ნ. კაციტაძე
6	საერთაშორისო ტურიზმი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		ვ. არღუთაშვილი

7	ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		მ. ხოხობაია
8	მარკეტინგი მოგზაურობასა და ტურიზმში	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი			5		ნ.თოდუა
9	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			10		ნ. კვარაცხელია
10	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					ს. გელაშვილი; ნ. აბესაძე
11	სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					მ. ხოხობაია
კონცენტრაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი										25	25		
1	ინფორმაციული მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	45	65	125	წინაპირობის გარეშე		5			ე. ლავგილავა
2	ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			რ. სეთურიძე; ნ. მიქიაშვილი
3	კვლევის მეთოდები ინფორმაციულ მენეჯმენტში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			დ. სიჭინავა; რ. სეთურიძე
4	კლიენტ-სერვერული ტექნოლოგიები ბიზნესში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			თ. მუნჯიშვილი
5	ინფორმაციული ტექნოლოგიები საგადასახადო საქმიანობის მართვაში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5			რ. სეთურიძე
6	ქსელური ეკონომიკა	არჩევითი	5	15	30	80	125	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი					ე. ლავგილავა
7	WEB ტექნოლოგიები ბიზნესში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					თ. მუნჯიშვილი
8	ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტების მართვაში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		მ. ტიკიშვილი
9	ფირმის ინფორმაციის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		დ. სიჭინავა

10	მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები და თანამედროვე აპლიკაციები ბიზნესისათვის	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5		დ. სიჭინავა; რ. სეთურიძე; ნ. თოფურია
11	ინფორმაციული ტექნო-ლოგიები საბაჟო საქმიანობის მართვაში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			10		რ. სეთურიძე
12	საწარმოს რესურსების მართვის სისტემა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					დ. სიჭინავა; თ. მუნჯიშვილი; რ. სეთურიძე
13	საბანკო საინფორმაციო სისტემები	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					მ. მაღრაძე
კვლევის მეთოდები													
1	კვლევის მეთოდები (იხ. კონცენტრაციებში)	სავალდებულო	სტუდენტი დარეგისტრირებული უნდა იყოს რომელიმე არჩევით კონცენტრაციაზე										
კვლევითი პროექტი													
1	კვლევითი პროექტი	სავალდებულო	5	15		110	125	ა) აკადემიური წერა ბ) კვლევის მეთოდები (კონცენტრაციიდან). შენიშვნა: კონცენტრაციისთვის „მარკეტინგი“ „მარკეტინგული კვლევები“ ისწავლება პარალელურ რეჟიმში.			5		ნ. თოდუა
პროფესიული პრაქტიკა													
1	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	10	90		160	250	ა) შესაბამისი კონცენტრაციის 10 კრედიტი (მარკეტინგის კონცენტრაციისთვის - მარკეტინგული კვლევები);				10	ნ. თოდუა

							ბ) სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში					
სამაგისტრო ნაშრომი												
1	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	20	15	485	500	ა) კვლევითი პროექტი; ბ) სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში; გ) მარკეტინგის კონცენტრაციისთვის - მარკეტინგული კვლევები <u>შენიშვნა:</u> სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ 100 კრედიტის ათვისება				20	ნ. თოდუა
პროგრამის სავალდებულო კრედიტები - 70 კრედიტი მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი, კვლევითი პროექტი - 5 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი პროგრამის არჩევითი კრედიტები - 50 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია 10 კონცენტრაციად კონცენტრაციის სავალდებულო კურსები - სულ 35 კრედიტი (კონცენტრაციისთვის „აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“ - 45 კრედიტი, კონცენტრაციისთვის „გლობალურ გარემოში მენეჯმენტი“ - 40 კრედიტი).												

კონცენტრაციის არჩევითი კურსები - სულ 15 კრედიტი (კონცენტრაციისთვის „აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“ - 5 კრედიტი, კონცენტრაციისთვის „გლობალურ გარემოში მენეჯმენტი“ - 10 კრედიტი).
სულ: 120 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

დანართი : კონცენტრაციების შედეგები

კონცენტრაცია „მენეჯმენტი“

კონცენტრაციის „მენეჯმენტი“ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- განიხილავს მენეჯმენტის თეორიებს, კონცეფციებს, მიდგომებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს;
- სისტემურად აღწერს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებს, ტექნიკებსა, და სტრატეგიებს;
- სიღრმისეულად ხსნის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის სპეციფიკასა და მექანიზმებს.

უნარი

- კრიტიკულად აფასებს მენეჯმენტის გარემოს კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით;
- განსაზღვრავს მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების მექანიზმებს;
- აყალიბებს და წარუდგენს არგუმენტირებულ დასკვნებს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ეფექტურად იყენებს მმართველობით სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაციას;
- ითვალისწინებს ეთიკურ ფასეულობებს და სოციალურ პასუხისმგებლობას არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრისას;
- დამოუკიდებლად აფასებს და წარმართავს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარებასა და კარიერული ზრდის საჭიროებებს.

კონცენტრაცია „საჯარო მმართველობა“

კონცენტრაციის „საჯარო მმართველობა“ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- სიღრმისეულად ხსნის საჯარო მმართველობის ფუნდამენტური პრინციპებს;

- სისტემურად აღწერს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებს, ტექნიკებსა, და სტრატეგიებს;
- განიხილავს სახელმწიფო განვითარების ტენდენციებს, საჯარო მმართველობის სპეციფიკასა და მექანიზმებს.

უნარი

- შეიმუშავებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, მისი განხორციელებისა და ზედამხედველობის პროცესებს/მექანიზმებს, სტრატეგიული მართვისა და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებს, საჯარო მმართველობითი გამოწვევების სისტემატიზაციისა და რეგულირების გავლენის შეფასების საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით;
- წარუდგენს აკადემიურ/პროფესიულ საზოგადოებას, რელევანტური კვლევის მეთოდებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით მიღებული, საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ, არგუმენტირებულ დასკვნებს;
- აფასებს საჯარო სექტორში პროექტების, პროცესების, სერვისებისა და მისი მოდიფიცირების შესაძლებლობებს ციფრული მმართველობის ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ითვალისწინებს ეთიკურ, დემოკრატიულ ფასეულობებსა და ადამიანის უფლებებს, საჯარო მმართველობის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრისას;
- იყენებს კანონის უზენაესობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის პროცესში გადაწყვეტილებების მიღებისას;
- აფასებს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის საჭიროებებს საჯარო მმართველობის სფეროში სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით.

კონცენტრაცია „გლობალურ გარემოში მენეჯმენტი“

კონცენტრაციის „გლობალურ გარემოში მენეჯმენტი“ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- სიღრმისეულად აცალიბებს გლობალურ გარემოში მენეჯმენტის საბაზო დებულებებს;
- აანალიზებს გლობალურ გარემოში მოქმედ ფაქტორებს, რომლებიც აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას;

- **დეტალურად განიხილავს** გლობალურ გარემოში მოქმედი ბიზნესის მართვის პროცესში არსებულ თავისებურებებს;
- **აღწერს** ორიგინალური იდეების გენერირებას და დანერგვას გლობალური ბიზნესის მართვის პროცესში.

უნარი

- გლობალური გარემოს სისტემური ანალიზის მეშვეობით **ახდენს** პრობლემების იდენტიფიცირებას, მათ რანჟირებას გადაწყვეტის პრიორიტეტულობის მიხედვით და მათზე რეაგირების ოპტიმალური გზების გამოვლენას;
- **დამოუკიდებლად განსაზღვრავს** გლობალურ გარემოში ფუნქციონირებისათვის ყველაზე ოპტიმალურ სტრატეგიებს;
- **დამოუკიდებლად გეგმავს და განსაზღვრავს** გლობალურ გარემოში ეფექტიან კვლევას, სტრატეგიებს;
- **წარადგენს** საკუთარ მოსაზრებებს, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **იყენებს** მიღებულ თეორიულ ცოდნას გლობალურ გარემოში მოქმედი ბიზნესის ცვალებად გარემოსთან ადაპტირებისათვის;
- **ამკვიდრებს** გლობალურ გარემოში მოქმედ კომპანიებში მაღალ-ეთიკურ ნორმებს და სტანდარტებს, უზრუნველყოს გადაწყვეტილებების ყოველმხრივ ანალიზს მათ რეალიზებამდე.

კონცენტრაცია „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“

კონცენტრაციის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- **სიღრმისეულად აღწერს** ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფუნდამენტურ პრინციპებს;
- **კრიტიკულად ხსნის** საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის შედეგებზე;
- **აგროვებს სიღრმისეულ ცოდნას**, რომელიც გამოადგება დინამიურ სამუშაო გარემოში ადაპტაციისათვის;
- **უზრუნველყოფს** დროსა და სივრცეში ორგანიზაციისათვის საჭირო პროექტების განსაზღვრას.

უნარი

- **იყენებს** ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციებს ორგანიზაციაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისათვის;
- **დამოუკიდებლად შეიმუშავებს** ალტერნატიულ სტრატეგიებს ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე კონკრეტული ორგანიზაციული სიტუაციებისათვის;
- ბაზრის შესწავლის საფუძველზე **უზრუნველყოფს** თანამედროვე პიარ ტექნოლოგიების დახმარებით ტალანტების მოზიდვასა და შენარჩუნებას;
- ორგანიზაციული კულტურის მთავარ შტრიხად **აქცევს** ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებსა და გამჭვირვალობას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **იყენებს** ადამიანური რესურსების მენეჯმენტში მიღებულ თეორიულ ცოდნას ცვალებად გარემოსთან ადაპტირებისათვის;
- **დამოუკიდებლად ახდენს** უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის საკუთარი შესაძლებლობების შეფასებასა და სწავლის პროცესის დაგეგმვას.

კონცენტრაცია „ფინანსები და საბანკო საქმე“

კონცენტრაციის „ფინანსებისა და საბანკო საქმე“ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- **სიღრმისეულად აღწერს** ფინანსებისა და საბანკო საქმიანობის მართვასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ პრინციპებს;
- **კრიტიკულად მიმოიხილავს** საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსებსა და საბანკო საქმიანობაზე;
- ფინანსებსა და საბანკო საქმეში მიღებული თეორიული ცოდნას **უკავშირებს** ბიზნესის მართვაში თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ ორიგინალური იდეების გენერირებას და უახლესი მეთოდებით კვლევას.

უნარი

- **იყენებს** ფინანსებისა და საბანკო საქმის თანამედროვე კონცეფციებს ბიზნესგარემოში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ინოვაციური გზების ძიებისთვის;

- ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე **იმუშავებს** ფინანსებისა და საბანკო საქმიანობის განსხვავებული სტრატეგიებს კონკრეტული ბიზნეს სიტუაციებისათვის;
- ფინანსებსა და საბანკო საქმიანობაში აპრობირებული და უახლესი მეთოდების გამოყენებით **დამოუკიდებლად ახორციელებს** კვლევას ბიზნეს გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად;
- **წარადგენს** საკუთარი მოსაზრებებს, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **იყენებს** ფინანსებსა და საბანკო საქმეში მიღებული თეორიული ცოდნას ბიზნესის ცვალებად გარემოსთან ადაპტირებისათვის;
- **იყენებს** ფინანსებსა და საბანკო საქმეში მიღებულ კომპეტენციებს ბიზნესის მართვის სფეროში ახალი მიდგომების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკაში მათი დანერგვისათვის;
- უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის **დამოუკიდებლად წარმართვას** სწავლის პროცესს საკუთარი შესაძლებლობის ბის შეფასების საფუძველზე.

კონცენტრაცია „აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“

კონცენტრაციის „აღრიცხვა, ანალიზისა და აუდიტი“ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- **სიღრმისეულად განსაზღვრავს** აღრიცხვა, ანალიზისა და აუდიტის მართვასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ კონცეფციებს;
- **კრიტიკულად ხსნის** საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის ორგანიზებაზე;
- აღრიცხვა, ანალიზისა და აუდიტში მიღებულ თეორიული ცოდნას **უკავშირებს** ბიზნესის მართვაში თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ იდეების გენერირებას და უახლესი მეთოდებით კვლევას.

უნარი

- **იყენებს** აღრიცხვა, ანალიზის და აუდიტის თანამედროვე კონცეფციებს, პრაქტიკას და მართვის უნარებს ბიზნესგარემოში არსებული პრობლემების ილუსტრირებისა და გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისათვის;

- აღრიცხვა, ანალიზის და აუდიტის კვლევის აპრობირებული და უახლესი მეთოდების გამოყენებით **დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას** ბიზნეს გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად;
- ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე **იმუშავებს** განსხვავებულ სტრატეგიებს კონკრეტული ბიზნესის სიტუაციებისათვის;
- **წარადგენს** საკუთარი მოსაზრებებს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **იყენებს** აღრიცხვა, ანალიზისა და აუდიტში მიღებულ თეორიულ ცოდნას ახალი მიდგომებით ბიზნესის ცვალებად გარემოსთან ადაპტირებისათვის;
- **იყენებს** მიღებულ კომპეტენციებს ბიზნესის მართვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისა და პრაქტიკაში მათი დანერგვისათვის;
- უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის **დამოუკიდებლად წარმართავს** სწავლის პროცესს საკუთარი შესაძლებლობების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე.

კონცენტრაციის „მარკეტინგი“

